

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სედეის ქუჩაზე, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе, въ редакцію «Дროбна».

დროება

გამოდის ყოველ დღე ორჯამათს ბარად.

შანი განხილვისა

სკრიპონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საქორიოება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდს ავტორს.

ამ ნომარში რა გვერდია

მიიღება ხელის-მოწერა

მოძახულ 1884 წლისათვის კასტის

დროებაზე

(წელიწადი მეცხრამეტე)

თაილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
მუთისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალა თუთაძესთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: В. Тифлисе, въ редакцію «Дროбна».

უასი ხელის-მოწერისა:

Table with subscription rates: 12 თვით - 9 მან., 11 თვით - 8 მ. და 50 კ., 10 თვით - 8 მან., 9 თვით - 7 მ. და 50 კ., 8 თვით - 7 მან., 7 თვით - 6 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის თვით - 2 მან.
6 თვით - 5 მან., 5 თვით - 4 მ. და 50 კ., 4 თვით - 4 მან., 3 თვით - 3 მან., 2 თვით - 2 მან., 1 თვით - 1 მან.

ხელნაწილი ეუფილი ხელის-მომწერა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

10 ნოემბერს ექვს საათზედ და 15 მინუტზედ საღამოს და სახანგრემო გარდაიკვალა მუთათისის გუბერნიის თავად-ახანაყურთ წინამძღომელი თავადი ნესტორ ამიტრის-ძე წერეთელი. (1-1)

ლა; გამოცხადდა მხოლოდ 27 და მათს რიცხვში მაკუევიც; ყველა ესენი დაითხოვეს 18 ნოემბრამდინ; ხუთ დღემდინ გასტანს ამ საქმის გარჩევა, რადგანაც ბევრი დრო მოუნდება ბასს და სამი გამამტყუნებელი ოქმის წაკითხვას.

როსტომი დონხა. აზოვის ზღვაში გემები კიდევ დაიარებიან.

სოქონი. სახალხო კრების სხდომები ისევ განაახლეს.

ქაირი. აღქირიდვან და ტრიპოლიდვან იუქებიან, რომ იქ ცრუ წინასწარმეტყველის ავანტიები გამოჩენილან. ოსმალიეთის ოქციკრები, რომელიც ევკვიპტეში არიან სამსახურში, სუდანში არ მიდიან და ამბობენ, რომ ჩვენ კონტრაქტის ძალით მოვალენი ვართ მართო ევკვიპტეში ვიმსახუროთო.

16 ნოემბერს.

პატიმარში. «ქერნალ დე სან-ჰუტერბურ» უწოდებს უაზროს პარიკის გაზეთის «გოლუბა»-ს ცნობას, რომელიც ამტკიცებს ვითომც ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ რაღაც შეთქმულობა ყოფილიყო.

«ვეტერბურგის უწყებები» იწერებიან, რომ გზათა სამინისტროს კომისიამ, რომელიც იხილავს საზოგადოების პროექტს ელევატორების გამართვის შესახებ, საჭიროდ იცნო სახელმწიფო და საზოგადოებრივთა ინტერესებისათვის საზოგადოების წესდებაში ზოგიერთი ცვლილებათა მოხდ

ნა. ამას გარდა ჭინანსთა სამინისტროში ადგენენ პროექტს დამატებითი წესებისას, რომელიც თრიადა სკვლიან ხსენებულის წესდების ზოგიერთა მუხლთა. ყველა ამ ცვლილებათ წარუდგენენ სახელმწიფო რჩევას განსახილველად.

გემინ წერა-კითხვის კომიტეტმა დაადგინა მისწერონ ტელეგრაფბარონი კორძის ქვრივს ხარკოვში და გამოეცხადონ მას თავის მწუხარება იმ დანაკლისის გამო, რა დანაკლისიც მოუვიდათ იმის ქრმის სიკვდილით ყველა მათ, ვინც თანაგრძობს სკოლის საქმის წარმატებას.

ქონსტანტინოპოლი. ოქციკრად არდგევენ იმ ცნობას, ვითომც ცრუ-წინასწარმეტყველს სამსი-ათასი ჯარი ჰყვანდეს. აჯანყების მოსპობა გვიანდება მხოლოდ სუდანის ტოპოგრაფიული პირობების და ჰავის გამო.

პატიმარში. დღეს სენატმა გააუქმა ოლქის სამჯავროს გარდაწვეტილება კონსტანტინოპოლის ბანკის საქმის შესახებ და დაადგინა გარდევას ეს საქმე ხელ-ახლა განსახილველად ამავე სამჯავროს სხვა განყოფილებას; მართო ემელიანოვის შესახებ იცნო სენატმა კანონიერად სამჯავროს გარდაწვეტილება.

ტაშანტი. გენერალ-გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება, რომლითაც სასტიკად იკრძალებოა ოპიუმის, გამიშის და კუენარის გუთება, მოტანა და ყიდვა, და ბძანება გასცა, რაც ამისთვის ქარხანების, სულ ერთიანად დაიხურონ.

მარლინი. როდესაც იმპერატორმა ვილჰელმმა პრუსიის სეიმის დეპუტატთა პალატის წარმადგენლები მიიღო, გამოაცხადა, რომ მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული მშვიდობიანობის სიმტკიცეზედ, და ამასთანავე მოიხსენია, რომ რუსეთთანაც კარგი განწყობილება გვაქვსო.

პარიში. სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩინეთს მშვიდობა ჰსურს და მხოლოდ ბაკინგზე თავს-დასხმას ეწინააღმდეგება.

ადმირალი კურბე იწერება, რომ ჯარი განწყობილია ბაკინგზე იერიშის მისატანად.

ვა ოსმალიეთის ოქციკრებს სუდანში წასვლა და მათგანი უმეტესი ნაწილი თანახმაა წაჰყვეს მას იქა.

კიდევ უდროს მსხვირალი სიკვდილისა.

თბილისი, 17 ნოემბერი.
შომობელი სიკვდილის ცელი კიდევ მოხდა ერთს გამოჩენილს რუსეთის შეილსა. მან გამოაკლო ერთი დაულალაფი და შეუპოვარი მომქმედი იმ დაწინაურებული, პროგრესიული დასისაგან, რომლის მხნეობაზედ დაწრფელს მამულის სიყვარულზედ ბევრით დამოკიდებულია რუსეთის მომავალი. ჩვენ ვამბობთ ბარონ ძორფის სიკვდილზედ, რომელიც ტელეგრაფამ გუშინ გვაცნობა. ამ მომქმედლი პირის დროშაზედ დიდის ასოებით სწერია: «განათლება ხალხისა».

შეგლას, ვისაც კი ლიბერალური, პროგრესიული მიმართულება მიჩნია უსაჭიროეს ჭაკტორად ქვეყნის წარმატებაში, ეს მოულოდნელი სიკვდილი ძლიერ შეაწუხებს. სამაგიეროდ გულითად სიხარულს მოჰგვრის რეტროგრადების დასსა რუსეთში, რომელმაც შარშან ერთი აჯალ-მაყალი და აღიარეთი ასტეხა ძორფის წინააღმდეგ, როდესაც მოსკოვის ინტელიგენციის უკეთესმა წილმა გულით მოიწადინა მისი ინსპექტორად დანიშნა სამოქალაქო სკოლებისა.

ძორფი დიდი ხანა მოქმედობდა პედაგოგიურს ასპარეზზედ. იგი მხოლოდ რადენიმე წლით უშინსკიზედ გვიან შეუღდა ხალხის განათლების საქმეს, მართალია, ნიჭით და განვითარებით დაბლა იდგა უშინსკიზედ, რომელსაც რუსეთში სამართლიანად ეძახიან დიდს შედგოვას; მაგრამ სამაგიეროდ მას შეეძლო დაეკვინა თავს წინამორბედის წინაშე უფრო მომეტებული გამოცდილება და უფრო შრავალ-გვარი პრაქტიკა. თუ უშინსკი უზომელად მალა იდგა ძორფზედ და სხვა რუსის პედაგოგებზედ შინაგანი შემოქმედებითი ძალით, სამაგიეროდ ბარონ-ძორფს უპირატესობა ჰქონდა მასთან იმითი, რომ კაბინეთიდგან არ იცნობდა ხალხსა და მის მოთხოვნილებასა, თვითონ ხალხის ცხოვრების ცნობაზედ იყო დამოკიდებული მისი პედაგოგიური მოსწრაფებანი და მოსახრებანი. თუ უშინსკის უნდა დაერქვას იშვიათი ხელოვანი პედაგოგის სახელი, ბარონ-ძორფს უნდა ეწოდოს იშვიათი სიმარჯვის ხელოსანი.
მოქმედება ბარონ ძორფისა იყო მეტად შრავალ-მხრივი, მეტად მრავ

ვალ-ფერი: არ ღარჩენილა თითქმის არც ერთი მხარე ხალხის განათლებისა, რომელსაც იგი არ შეხებოდეს. რა საგნები უნდა ისწავლებოდეს სახალხო სკოლაში, რა სივრცე უნდა ჰქონდეს ყველა საგანსა, რაედენი დრო უნდა მოანდომოს მასწავლებელმა თვითონ ამ საგანთაგანს, რა ხერხები, რა მეთოდები უნდა ხმარებულ იქნან სწავლების დროსა, რაედენი ხანი უნდა გაკლებდეს სწავლადღემი და წილიწადში, რა გვარი ურთიერთობა უნდა არსებობდეს ბირველ-დაწყებითის სკოლისა და სამეურნეო-სახელოსნო სკოლის შუა, რა ღონისძიებანი არიან საჭირონი, რომ სახალხო სკოლაში კურს-შესრულებულთაგან არ დაიფიქრონ, რაც უსწავლიათ, სკოლაში და ცოდნის შეძენა განაგრძონ შემდეგში, რაედენად საჭირონი და სასარგებლონი არიან საკვირაო და გასამეორებელი სკოლები, როგორ უნდა იქნან იგინი მომართულნი—ყველა ეს საგნები და ბევრი კიდევ სხვა ჯეროვანი განვითარებით არიან განხილულნი პორტის ნაწერებში. იგი ერთსა და იმავე დროს კიდევ სწერდა და კიდევ მოქმედებდა. თეორია და პრაქტიკა მას ტოლტოლად მიჰყავდა. ძაბინეთი და ცხოვრების მოედანი ერთმანეთზედ მოქმედობდენ, ერთმანეთს შეელოდენ, ერთი ერთმანეთს აესებდენ. როცა ზოგიერთა ცრუ-ლიბერალებმა დაიწყეს ქადაგება, რომ სახალხო სკოლა—უსარგებლო დაწესებულებააო, ხალხს სრულიად აიწყვებდა შემდეგში, რასაც სკოლაში სამიოდე წლის განმავლობაში სწავლობსო, პორტი თეორიულ პასუხს არ დასჯერდა, რათა ყველასათვის აშკარად დაენახებინა, რომ ის ლატაკი და უხერო სახალხო სკოლაა, რომელიც ახლა რუსეთში არსებობს, დიდს სიკეთეს უშვრება ხალხსა და ნაყოფი მოაქვს, რაედენსამე გუბერნიაში ეგზამენი უყო იმათ, რომელთაც ხუთი-ექვსი და ათი წლის წინად ესწავლათ სახალხო სკოლებში. აღმოჩნდა, რომ ასში მხოლოდ ოციოდეს დაიწყებოდა ნასწავლი და ოთხმოცს კი მტკიცედ დაეცვა და ცხოვრებაში გამოყენებინა ის, რაც შეეძინა სკოლაში მყოფობის დროსა: ამ გვარადვე იქცეოდა იგი სხვა შემთხვევებშიაც.

სამართალი მოითხოვს ეთქვას, რომ იმდენი ღვაწლი წინაშე რუსეთის სახალხო სკოლისა არც ერთს პედაგოგს და არც ერთს სახელმწიფო მოხელეს არ მიუძღვის, რაედენიც დასთესა პორტმა. მაგრამ შემდეგში იგი ბევრით უფრო ნაყოფიერად იმოქმედებდა, ვიდრე აქამდის მოქმედებდა, უფრო მომეტებულს სამსახურს გაუწევდა თავის სამშობლო ქვეყანასა, რომ სიკვდილს უდროოდ არ მოეღია მისთვის ბოლო, შუა ხნის კაცი არ ჩაეყვანა სამარესა. ჩვენი აზრი დამყარებულია შემდეგს საფუძველზედ.

შინსკი რომ პედაგოგურს ასპარეზზედ გამოვიდა, იგი მაშინვე იყო სრული, განვითარებული, დამჯდარი

აზრების პედაგოგი, რომლისაგან იქით გადაქცევა რაიმე პედაგოგიური აზრისა, ანუ პრინციპისა შეუძლებელი იყო. მთელს იმის მოქმედებაში, როგორც დობროლიუბოვისაშიაც, ვერ უჩვენებთ ვერც ერთს ნაბიჯსა, სადაც რაიმე ტორტმანი ეტყობოდეს, სადაც გარეშე ზედ-გავლენას იგი თავის ორბიტადგან გამოეყვანოს. პორტი შეუდგა ხალხის განათლების საქმეს მაშინ, როდესაც ჯერედ მას აკლდა განვითარება; პედაგოგიური პრინციპები, დედა-აზრები ძელოსა და რბილში არა ჰქონდა დამჯდარი. ამიტომაც თავდაპირველად იგი იჩენდა ვიწრო კუთხის ადამიანის ნაკლულევენებათა. იგი დიდად თავიანთსა სცემდა რეალურ მიმართულებას და კიდევაც შეადგინა ამ მიმართულების პირველი საკითხავი წიგნი, ესრედ წოდებული «Малютка». ამას გარდა კიდევ პოლიტიკოსობდა პედაგოგიაში. იგი ამტკიცებდა, რომ წერილი ქვეშეგრდომის ხალხების დედა-ენა მხოლოდ მაშველებელი საგანი უნდა იყოს რუსული ენისათვისაო და იმდენად უნდა ისწავლებოდეს, რაედენათაც სახელმწიფო ენას არ დაუშლისო. მაორივე აზრი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა შინსკის მიმართულებას, რომელსაც რეალური ელემენტი საკითხავ წიგნი მხოლოდ მესამე წლიდან შეჰქონდა და პირველს ორს წელიწადს კი სდებდა დედა-ენის და მეტყველების შესასწავლათა. პატარა ქვეშეგრდომი ხალხების დედა-ენასაც შინსკი იმავე მნიშვნელობას აძლევდა, როგორსაც სახელმწიფო ენას მთავრი ერისათვის. შინსკი იქამდის მიდიოდა, რომ მცირე-რუსეთის სკოლებში რუსული ენის სწავლებას უნაყოფოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგვას ეძახდა და თხოვლობდა, რომ მხოლოდ მცირე-რუსეთული ენა და წერა-კითხვა ესწავლებინათ აქა. პორტი სხვა მიმართულებას მისდევდა, ზოგს შემთხვევაში კიდევ ეწინააღმდეგებოდა შინსკისა, თუმცა ყოველთვის დიდი პატივით იხსენიებდა მას და ეძახდა «დიდს პედაგოგსა». შინსკი პორტის წინააღმდეგ არაფერსა სწერდა და, როგორც ეტყობა, ასე ფაქობდა: ჯერ გამოუცდელი ხარ, განვითარება გაკლია, დრო გაივლის, მეტს ისწავლი, პედაგოგიაში ცოდნა მოგვამტება და მაშინ თვითონვე უარ-ჰყოფ იმ აზრებს, რომელთაც ეწეოდა სიყმარებით ქადაგებო.

და კიდევაც ასრულდა შინსკის მოლოდინი. ამ ხუთი-ექვსი წლის წინად, შეიცარიაში ხანგრძლივი მყოფობის შემდეგ, პორტი მტკიცედ დააღა იმავე მიმართულებას, რომელსაც ისეთის საკვირველის ნიჭით ემსახურებოდა შინსკი. მან უარ-ჰყოფილა რეალური მიმართულება და აღიარა სიტყვით და ბეჭდვით, რომ პირველი ორი წელიწადი დედა-ენის და მეტყველების შესწავლას უნდა დაეთმოსო და მხოლოდ მესამე წლიდან საკითხავ წიგნი უნდა მოქცეს რეალური ელემენტი. მცი-

რე-რუსეთის სკოლის შესახებ მან გამოასტევა მშვენიერი აზრები, რომელნიც დამყარებულნი არიან მხოლოდ პედაგოგურს ნიდაგზედ და მომორებული პოლიტიკოსობასა. შევლა სხვა საგნებზედ მსჯელობაშიაც მეტად სასიამოვნო ცელილება ეტყობოდა მას... მა გარემოება ერთი-ათად უფრო სამწუხაროს ჰხდის პორტის უდროოდ სიკვდილსა.

პორტი მოკვდა ისევე უდროოდ, როგორც უდროოდ იხოცებოდა რუსეთის საუკეთესო შეილები. არ შეგიძლიათ არა სთქვათ: პეშინები, ლერმონტოვები, ბელინსკები, ბოგოლოები, დობროლიუბოვები, შინსკები, პორტები სიყმარულით იხოცებოდა და პატკოვები, აკსაკოვები და სხვა ჯობის სულდგმულნი მათუსაილის ჟამს სიცოცხლობდენ და ყველას თავს აბეზრებდენ!

შინაური ძროსია

ბ. ქარბიძისაგან შედგენილი სწავლა, რომელიც მისგანვე შედგენილს ნოტებზე მთელს ქართულ წიგნსა გალობს და ზოგაერთა ხალხურ სიმღერებსაც, «ხელის ხელ საგოგანებია», შექმნა. ოთხმასათს სადამოყვად სხეებულმა სწავლამ ჯერ იგალობა მთელი წიგნა ექსარსოსთან, რომელსაც ძალიან მოეწონა; შემდეგ სწავლა მიწვეული იყო თბილისის მაზრის მარშლის ბ. ლუკასამ ძალაპედილის სახლში, სადაც დიდიმ ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, სამოყვებით მოისმინა მთელი წიგნა და შემდეგ რამდენამე ხალხური სიმღერაც, როგორც ქართული, ისე გურული. ბ. ქარბიძეს და მის მეუღლეს საზოგადოებამ დიდი ძალაობა გამოუცხადა ამ ჩინებულის საქმის დაწყებისათვის.

მიუხედავად ყურადღების მკითხველებისა დღეს «გაგაზში» დაბეჭდილს წიგნს ბ. დიმიტრი ბაქრაძისა, რომელიც თ. მინგრუსკისა და გეგელიების საქმეში ექსპერტად იყო დანიშნული. ჩვენ ჩვენის მხრავ ამ შესანიშნავს წიგნზედ დალაგებით მოველაპარაკებთ მკითხველებს.

აქამდის ბათუმიდამ ახლა მასლო მცხოვრებლებს მხოლოდ 3 მანათის საჯაროს გატანა შეუძლებათ ბათუმიდამ. ჩვენ ვაძნობთ მკითხველებს, რომ ბათუმიდამს სთხოვეს აქ მისულს ტამოყნის ვიცე-დირექტორს, ბ. ზაბუგანს, რომ მეტი საქონლის გატანა გაუადვილონ. ამ საგანზედ ესლა «იურიდიკუსკო ობოზრენიე» გაგნობებს, რომ ჯერ-ჯერობით ბ. ზაბუგანს გამოუთხოვია ნება, რომ 3 მანათის საქონლის მაგარად 5 მანათის საქონლის გატანას ნება მიეცეთ ახლო-მასლო მცხოვრებლებსა.

ამ დღეებში სასჯელსწავლო გამგეობაში აღძრულა ღამარჯავი კაბასის გამყიდველების შესახებ, რომელთაც უთხოვანათ, რომ სასჯელსწავლო გამგეობამ

კაბასის გაყიდვის ნება მხოლოდ იმათ მისცეს, ვისაც დამატება ჰქვას და ამ-სე-ლობისათვის მომსახურებულს; თორემ ესლა ბეჭი ვარ-და-ვარ ტუდი თვისების კაბასი დაქვით, ათფათა ჭეიდიან, ჩვენს ხელს გვიშლიან და ხალხშიც ტუდის საქონლის გაყიდვით ვად-მყოფობას ვერცელებო (გაგაზში).

იმავე გასკოს აცნობებენ ოსურ-გეთიადამ, რომ იქ ავ-გაცნობა ხელ-ახლად განხილავ. ცხინვალში გაქცეული უჩალები თურმე აქა იქ დასეიანობენ და ხალხში შიშის ზარსა ჭეუენ. ენკენისთეში ავ-ზაკებს გაუცარცვათ ოსმალოს ქვეშევრდომი ვაჭრები, ჟუმათის იარმარკი-დამ მიმავლნი; ორი გვირის წინად მოუვლავთ გურანთელი მამასახლისი გიტა დოლიძე თავის სიმინდში. უჩალები ასე გათამამებულან, რომ ამ დღეებში მაზრის უფროსისათვის წერილი მიუწერათ, თუ 300 მან. გამოავგზავნი, ოსმალებს გადავალთ.

ბახეთის საგლელოვანის ქრების საყურადღებოდ.

19 ამ თვის თელავის სასულიერო სასწავლებელში უნდა მოხდეს ამ სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების კრება. მს გარდაწყვეტილია და დამტკიცებული ვისგანაც ჯერ არს. რადგანაც ამისთანა კრებები ხშირად, ესე იგი, ყოველ-წლივ არა ხდება ხოლმე აქ, სასურველია, რომ ამ კრებამ უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ არ ჩაიაროს. იმისთანა კრებას, როგორც არის კრება მთელი ბახეთის სამღვდელოებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს და ყველას ყურადღებას იქცევს. აშკარაა, რომ ამ კრების გარდაწყვეტილებზედ ბევრად დამოკიდებულია მისი სასწავლებლის კეთილდღეობა, მისი (სასწავლებლის) პედაგოგიური და ეკონომიური წარმატება, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება. ამისათვის თვითთულს დეპუტატს, როგორც თავის აღმომრჩეველთა წარმომადგენელს და მათ წინაშე პასუხის-მგებელს, მართება ყოველს კრების საქმეში სიტრთხილვად დაკვირება; მან უნდა ჯერ დინჯად, აუჩქარებლად, პირადი ინტერესების მიუხედავად, გაარჩიოს, გაჩხრიკოს თვითთული კითხვა და მემრე ისრე წარმოსთქვას თავისი დასკვნა. შიროველესად ყოველისა საქიროა, აღმომრჩიონ რიგიანი თავს-მჯდომარე, რომელსაც შეეძლება ნათლად და გარკვევით დაანახოს კრებას ყოველი საქმის გარემოება, შინაარსი, მნიშვნელობა და საქიროება.

შრიგო არ იქნება წინაღვე ვაცნობით სამღვდელოებას კრებაზედ მსჯელობის საგანი, რომ უფრო მეტი დრო ჰქონდეს მსჯელობისა და დაკვირებისათვის, შემთავრისნი წინადადებანი სასწავლებლის გამგეობის მხრით, რომელნიც კრებამ უნდა განიხილოს, არიან შემდეგნი:

1) ახალს ენობას, რომლის საძირკველი უკვე ჩაყრილია და რომელიც 200

მან. დაუჯდა სამღვდლოებს, მოემ-
ტოს მეორე სართულიც და ამ უკანას-
კნელისთვის გაიწეროს და დროზედ
შეიკრიბოს სამღვდლოებისაგან 2000
მან. მაშინ ახალს შერობაში მოთავს-
დება პანსიონიც ყოველ თავის მო-
თხოვნით, და ამით მოისპობიან
მრავალი სწავლის დამბარკოლებელ-
ნი მიზნები. იმედია, კრება ამაზედ
უარს არა ჰყოფს, ცოტასთვის ბევრს
არ დაჰკარგავს და მადლს მარილსაც
ზედ მოაყრის.

2) შეკეთდეს ძველი მენობა, რომელსაც ერთ ადგილას საშიშრად პირი დაუტია და გადაწოლას ლამობს, და მიეცეს სასწავლებელში ზედამხედველის თანაშემწეს სადგომი ოთახები.

3) სუსტად მოსწავლე შევირდებს დაენიშნოს რეპეტიტორი, რომელიც ამზადებს შევირდებს მეორე დღისთვის სადილის შემდეგ. რეპეტიტორი უნდა იყოს თავისუფალი სხვა საქმეებისაგან, რომელიც დაუშლიან რეპეტიტორებს.

ჩვენა გეგონია, ამას ისა სჯობდეს, რომ თვითონ მასწავლებელნი იყვნენ რეპეტიტორად ყველა თავის საგანში, როგორც ეხლა არიან პედაგოგიური რჩევის გარდაწყვეტილებით, იმ განსხვავებით, რომ ეხლა ასრულებენ ამ საქმეს უსასყიდლოდ, მაშინ კი ცოტადენი ჯილდო მიეცემათ. ჯილდოს მიუხედავად, ყველა მასწავლებელი ეცდება თავის საგანს კარგად შეასწავლოს მოსწავლეებს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ იმ ფასად, რასაც სამღვდლოება დანიშნავს (ეხლავე ვიცით, რომ თუ დანიშნავს, ცოტას დანიშნავს) ძნელად თუ იშოვება კაცი, რომელიც განვითარებული იყოს ყველა იმ საგნების სწავლებაში, რომელთაც სასულიერო სასწავლებელში ასწავლიან.

4) დაენიშნოს სასწავლებელს საპატიო მზრუნველი ერთი შემღებულთაგანი ვინმე.

საჭიროდ ვრაცხთ ბოლოს მიუაქციოთ პატივცემული მამების ყურადღება ერთს საგანზედ და მის შესახებ განუთხაროთ საზოგადო შეხედულობა და მოსაზრება. ჩვენ ვამბობთ მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაზედ. მკენისთვის დამდებ ამ კლასის მასწავლებელი დათხოვნილი იქმნა; მისი ადგილის მთხოვნელნი ბევრნი იყვნენ, მაგრამ სასწავლებლის გამგეობამ საჭიროდ დაინახა ამ კლასის გაკვეთილები ზოგიერთა მასწავლებელთა შორის გაეყო და აღასრულა კიდევ თავისი წადილი. ეს დამტკიცება დროებითია, მინამ ახალს მასწავლებელს იშოვნინ. მაგრამ რუსული ენის მასწავლებელს ელიან რუსეთიდან, რომლის გაკვეთილები აქეთ დროებით აღებულნი და მასწავლებლებს დრო აღარა რჩებათ. მის მოსვლისათანავე ესენი გაიყოფენ ამ კლასის გაკვეთილებს; ჯერ-ჯერობით კი აქ ასწავლის ბერძნული ენის მასწავლებელად ნამყოფი ბ. ნ.—ი...

მოსამზადებელი კლასი არის განსაკუთრებული საგანი სამღვდლოების მზრუნველობისა; ის არის საფუძველი, რომელზედაც შენდება მთელი შემდეგი სწავლა-მეცნიერება. მოსამზადებელი კლასის გაკვეთილების მომავალ მასწავლებელთა შორის განაწილება არ არის სასარგებლო და სასურველი, ჯერ ერთი მიტომ, რომ იმ მასწავლებელთა, რომელნიც ხელსა ჰკიდებენ ამ გაკვეთილებს, მრავალი სხვა გაკვეთილებიც აქეთ და სამყოფი დრო არ ექნებათ ამ გაკვეთილების მზადებისთვის; მეორე—რომ მოსამზადებელი კლასის მასწავლებელმა კარგად უნდა გაიცნოს ყველა თავისი მოსწავლე, მისი ხასიათი, ცოდნა, ნიჭიერება, ტემპერამენტი, რომ თვითუფლს მათგანზედ იმოქმედოს ხასიათისა და ცოდნის მიხედვით და, რასაკვირველია, რომ ერთი მასწავლებელი, რომელიც სულ მუდამ მათთან არის, უფრო კარგად გაიცნობს, ვიდრე ბევრნი. წესდებისა და პედაგოგის მოთხოვნებისამებრ მოსამზადებელს კლასში უმჯობესია, რომ იყოს ესრედ წოდებული საკლასო სისტემა, როდესაც ერთი მასწავლებელი ასწავლის ყველა საგნებს და მთელს თავის გონების ძალას და მეცადინეობას მართო ერთ კლასს ანდომებს; შევირდებოც ერთს იცნობენ და მასთან არიან შეჩვეულნი. ბევრს მასწავლებლებში კი არჩევენ უკეთესს მათგანს, სხვების ავტორიტეტი ეცემა მათ თვალში, და მათ გაკვეთილებსაც ისე ვერა სწავლობენ, როგორც პირველისას.

სამღვდლოების კეთილისმყოფი.

დ რ ო მ ბ ა № 232, 1883 წ.

დ რ ო მ ბ ა № 232, 1883 წ.


მუთაისნი, 9 ნოემბერს. მუთაისში და მთელს იმერეთშიაც ამ უკანასკნელს დროს ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ მისი ყოვლად უსამღვდლოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ხანგრძლივი მეცადინეობა უნაყოფოდ არ ჩაივლის და მის უფულთადესს სურვილს მიეცემა განხორციელება და მუთაისში დაარსდება სასულიერო სემინარია. სემინარიის საქმე ახალი საქმე არ არის. იგი პირველად დაიწყო 1867 წელს, როდესაც მისმა მეთუფებამ მუთაისში სემინარიის საჭიროებაზედ მიწერ-მოწერა გამართა; მაგრამ პირველ ხანებში დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდეს და გულცივად მიიღეს ეს საქმე. შოველის მხრიდან მოისმოდა, რომ კარგი და სასარგებლო არის მთელის მხარისთვის სემინარია, სულითა და გულით მოწადინებული ვართო, რომ სემინარია დაფუძნდეს მუთაისში, მაგრამაო საშუალება არსად არისო. ამისთანა პასუხების შემდეგ, რასაკვირველია, სამღვდლოებას ბევრი იმედი არ უნდა ჰქონიყო გარეშე შემწეობისა და ამტომ თავისი მღვდელთმთავარის წინადადებით

გარდასწყვიტეს, რომ შეეღებინათ სემინარიის დასაარსებლად საჭირო თანხა იმ ჯამაგირიდან, რომელიც ენიშნებოდათ სახელმწიფო ხაზინიდან. მაგრამ აქამდის აქედგანაც არა გამოვიდა რა, რადგან წარსულს წლებში (1881 და 1882 წ.) გამოუვიდათ მხოლოდ მეოთხედი გამონათხოვის ჯამაგირისა. აქედგან მარშან სამეგრელოს სამღვდლოებამ, იმავე ყოვლად-სამღვდლო წინადადებით, თავის ხვედრი ჯამაგირი, ხუთი ათასს მანეთზედ მეტი, დასტოვა უკლისად სასულიერო სასწავლებლის სახლის აღსაშენებლად ახალს სენაკში, იმერეთის სამღვდლოებამ კი მთლად მიიღო, რაც შეხვდა. მხოლოდ წრევანდელის ჯამაგირიდან იწყება ნახევარის დატოვება სემინარიისათვის. აქედგან გარდაცემულია უკვე სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში 23,758 მანეთამდის შესანახავად მოთხოვნად. ეს არის მართო იმერეთისა და სამეგრელოს სამღვდლოების ჯამაგირიდან. ბურიის სამღვდლოებას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, რომ ამ კეთილსა და საშვილი-შვილო საქმეში ძმური მხარი მისცეს თავის თანა-მოძმეებს. შევლას იმედი აქვს, რომ ბურიის სამღვდლოება არ გამოიჩენს სიძუნწეს და გაჰყვება იმ გონიერს რჩევას, რომელიც ამბობს—რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია. მისი მეუფება ბურიის ეპარქიის მმართველი ყოვლად-სამღვდლო პლექსანდრეც არ დაზოგავს თავის გავლენასა და მეცადინეობას, რომ გურული მღვდლებიც შეუერთოს იმერეთისა და სამეგრელოს მღვდლებს სემინარიის აშენების საქმეში...

სენათის სამღვდლოება აპირობს შესწიროს ამავე საქმეს ექვსი ათასს მანეთამდის; როგორც ამბობენ, გარდაწყვეტილება აქეთ ამის შესახებ შედგენილიო. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ მეტს არა, ნაკლებს მაინც არ შესწიროვს აუხანეთის სამღვდლოებაც, რომელიც, როგორც სენათის სამღვდლოება, იღებს ჯამაგირს მართო ძველსაში ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისაგან. ამას უნდა დაემატოთ: 1) 28,000 მანეთის სარგებლიანი ბილეთი, რომელიც ეკუთვნის იმერეთის საეკლესიო ხაზინას, 2) 27,000 მანეთზედ მეტი, რომელიც წინედ შეწირულია სამღვდლოებისაგან, და 3) 7,600 მანეთზედ მეტი, რომელიც დღეს იგზავნება იმერეთის საეკლესიო ხაზინიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში და რომელიც მაშინ აღარ გაიგზავნება, თუ მუთაისში სემინარია დაფუძნდა. ამ რიგად თითქმის 400,000 მანეთზედ მეტი შესდგება და ამის სარგებელი საკმაო იქნება, თუ ცოტას კიდევ შეეწევა ხაზინა და თუ არ შეეწევა, მაშინაც შეიძლება სამღვდლოება კიდევ დასტოვოს რამოდენიმე ნაწილი ჯამაგირისა, ოღონდ კი მათი და მათის მღვდელთმთავარის გულითადი სურვილი დაკმაყოფილდეს. მაგრამ სრული იმედი უნდა ექო-

ნით, რომ ყოვლად-უსამღვდლოესი ექსარხოსი პაფლი დასწერეს სამხარჯს იმერეთის ეპარქიაში სამღვდლოებას და აღმოუჩინოს რაიმე გარეშე საშუალებას იმ ორასი ათასი მანეთის გარდა, რომელსაც უშინდესი სინოდი სწირავს თავის საშუალებიდან სემინარიის სახლის აშენებას და მოწყობას.


სამღვდლოებისაგან შეწირული ფული მთლად უნდა გარდაეიდეს უშინდესის სინოდის განკარგულებაში. ამის შესახებ კიდევაც დადგინა გარდაწყვეტილება სამღვდლოების დებუტატთა ყრილობამ. ადგილს სემინარიისათვის აძლევს ქალაქი რკინის გზის ვოგზალთან, სიერციოტ სამს დესიატანამდის. ამ ადგილზედ სახლის აშენება ბევრად უფრო იაფად დაჯდება, რადგან წყალი და ქვიშა ახლოსა აქვს და საჭირო მასალების მოტანაც იაფად დაჯდება, რკინის გზის სიახლოვის გამო. მხოლოდ ეს კი არის, რომ, როგორც ამბობენ, იმ ადგილზედ უწინ სასაფლაოეო იყო, სადაც ქირითა და ხოლოებით მკვდრებს ასაფლავებდნო. თუ ეს მართალი გამოდგა, შეიძლება, ევლარც-კი მოხერხდეს იმ ადგილზედ სემინარიის აშენება.



რუსეთი

— პეტერბურგში ნამდვილი სმება თურმე გაგრძელებულია, რომ ქალების სამკურნალო გუყსება არ დასრუბა და ისევ მალე დაიწყება ქალების მიღება ამ გუყსებზე. ეს ამაზეა შეუტყობინებია გურსებზე მოსწავლე ქალებისთვის ერთს მასწავლებელთაგანსა.

— კარგა ხანია, რაც აღმარებულნი, რომ რუსის წარჩინებულს მწერალს ნ. გ. ჩენნიშეკის ნება მისცეს ასტრახანში ცხოვრებისა და მოკვდა კადეტოქსლას ნამდვილად იწერებან, რომ ის იქ დასასჯებულა თავის ცოლით და მღვილი შეიღებთ.




უცხოეთი

— ნემეტურში გასეთების სიტყვით, ბერლინი დაწმუნდენ, რომ ვიდრემდის რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრად გაისი იქნება, ევროპის მშვიდობიანობას არა შეარყევს რაო.

— ჭანტუხებს გადაუწეობათ გამართონ 1889 წელში დიდი მსოფლიო გამოფენა 1789 წ. საფრანგეთის რეკლამაციის მოსაგონებლად.

— ჭანტუხული გასეთი «კუნებან» ამბობს, რომ გრემანის მექვიადრე პრინცის ესპანიაში წასვლას საფრანგეთის ხასლად გამოთხოვას ნიშნავსო, და იმედულობს, რომ ხარტელონის მცხოვრებნი, რომელნიც რუსუბლავის მომხრენია არიან, დიდასუვლად დახვდებან იმას. რადიკა-

(იხილეთ კვლევა 12-ე)



დური გასეთები კადუ ამბობენ: «ქერი სომ არ მოაპატიებს მეგვიდრე პრინცს პარეშია, რომ ახლა იმის წინ დაიმდბლას თავი?»

— ამას წინად ერწრუმის მასლობლად ქურთის ავანსანი დახედენ სომხის ვაჭრებს და ძალადობა იხმარეს მათზე. ამის თაობაზე გასეთები იწერებან, რომ ინგლისმა და სხვა სახელმწიფოთაც მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას ავანსანების დასჯა. ამასვე თხოულობს სომხების პატრონობაც. სმეობა, რომ ავანსანები უკვე დაუტუსაღებიათ.

— ამას წინად ტელეგრაფმა გვაცნობა, რომ ჩხვის ამ უამად დღესასწაულს თავის სახალხო დიდის, მშენებრის თეატრის გახსნის დღესაო. ეს თეატრი ჩხვბა თავის ხარჯით ააშენეს მშენებრის ადგილზე, მდინარე ვიტაის ნაპირზე. ამის შესახებ ერთის გასეთის გენელი გორკსონდენტი იწერება შემდეგ: «ამისთანა ხალხი, რომელმაც თავის საკუთარი ძალით დასძლია მრავალი დაბრკოლებანი და ერთის წლის განმავლობაში აღაშენა ესეთი დიდებული ტაძარი სამშობლოს ხელგუნებისა, არ აღიფხვრება დედა-მამის პირიდან!» ამ დღესასწაულზე დასასწრებლად წასულან ჩხვისი ყველა ავსტრიის სლავიანების დეპუტაციები.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ცხენდარი გირაოდ. ძილადეფობაში მომკვდარიყო სასტუმროში ერთი ქალი, მისს რეპუკ სკოტ, და ქალის მამას დაუხრებინა თავისი შეიღის დამარხვა, მაგრამ სასტუმროს პატრონს გავიარ მიეცა. რადგან რეპუკას სიცოცხლეში სასტუმროს ვალი დასდებოდა, სასტუმროს პატრონს მისი გავიარ გირაოდ დაუჭირა და გამოცხადებინა მამისთვის, თუ დანახარჯს არ მომცემ — არც გავის მოგცემ და გათოლიკების წესიდან დაჯი მარსაჟ შენს ქალსაო. მამა თურმე პრეტესტანტი იყო და გათოლიკურ წესზედ დამარხვას შეეზარებინა. დანახარჯი მაინც არ მიეცა მამას და ესლას საქმე სასამართლოში სწარმოესო.

მართალი ვაჭარი! ერთი ცხენების ვაჭარი მუშტარს ასინჯიანებს ცხენს და ზურგზედ ხელის ცემით ამბობს: «შესედე, აბა, რა მშენებრი პირუტყვია, რამდენი სიცოცხლე ეტეობა! ან რა გასაკვირველია, ვერ ხუთი წლისაგდღეს იქნება. უნდობლად შეიდეგლმა თავი გაიქნია. თქვენ არა გვერათ მამა, ჭიბთს გამყიდველმა, — მამ თუ მე არ დამიჯიკრებთ, გილას უნდა დაუჯიკროთ, — მოელი ათი წელიწადია, რაც ევ ცხენი ჩემს ხელშია.»

თბილისის თავად-ავანუროვის საადგილ-გაგულუ ბანკისა. მპართელობა თბილისის თავად-ავანუროვის ბანკისა, ბანკის წესდების მე-15 § ძალით — 17 თებერვალს 1881 წ. — ამით ცხადდბს, რომ 19 დეკემბრს ამ 1883 წ. შუადლის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლოკის ქუჩაზედ, თ. ბრუზინსკის სახლგამში № 13, იქნება გასყიდვად უძრავ ქონებათა ვაჭრობის განუმეორებლად («უპერეტორაქკოთ») ქვემოდ

განსხლავანი

თბილისის ქალაქის გაგეგობა

ნაშნას თავის თანა დასწრებით ამა 26 ნოემბრს ვაჭრობას: 1) ქით დაგუბაზედ ვერის სიღთან ჩასვალისა და 2) ზღანას გაგეგობაზედ, ქით დაგუბაზედ და დაგეგულის განსხლავაზედ ვირონის ქუჩისა მიხაილის სიღადამ ვერის სიღადამ და იწვევს, ვისაცა სურს, რომ აიღოს ეს საქმე იჯარით, მობძანდეს ვაჭრობაზედ შუადლისას, 12 საათზედ, 26 ნოემბრს. პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის გაგეგობაში (უზრავაში) უოველ დღე დიდის 10 საათადამ ნაშუადღეის 2-ს საათამდე. (3—1)

გაზეთ «კავკასის» რედაქციაში ისყიდება «სამართველოს სამოთხე»

ფასი 17 მანეთი — გამომწერი და შეიდავი მიიღებს ამ წიგნსათახავე ვიიტანცისა, რომელისა ძალით შემდეგ გამოცემისა უფასოთ მიიღებს მზა-მეტყველებას ანტონ კათალიკოსისა და საქართველოს საეკლესიო ისტორიას არსენი კათალიკოსისა. (3—1)

კ. რულუკიძის სტავა

ქეთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისათვის ჩართული «ქალის პალმინდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აზაზი

ას-ასობით შეიდეგებს წესიერი პატივი.

ილიღება

«მეშხის ტჰომსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შურთ, უსურათოდ შეიდავი მურის ას-ასობით შეიდეგებს წესიერი პატივი. (30—1)

მე მივიდე გასური ღვინობა უმადლესის თვისებისა ახლს გახსნილსა ზაღაღში, ვაღაღის პრესპექტზე, ექიმო როტინანცის სახლგამში. მაქვს იმედი თბილისის საზოგადოებისაგან მიქციონ უურადლეს ჩემს ღვინობის ღირსებას, როგორც თეთრისა, აგრეუვე წითელის ღვინისა ძველისა და ახლისა, რომელ ღვინობისაც კეუდი ფრად ნაკლებ ფასათ, ვარეშე მცხარებთა პირთათვის, რომელნიც მოათხრვენ ჩემგან ღვინოს და ეთმობათ მანეთზე სურთი გაპევი.

თ. ფიშერ მიხეილის-მე ჩილავაშვილი. (3—1)

მოსწენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოკლდნენ უფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18, 19 პარაგრაფებით.

ჩივიანოვი ალექსანდრე სტეფანეს-მე. საბოსტენი ადვილი, ენახი და მარანი 5600 ოთხ-კუთხი საყენი მიწით. მ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-9 ნაწილში № 677. თავნი ვალი 3243 მანეთი 74 კაპეკი, დარჩენილი 259 მანეთი 50 კაპეკი — სულ ერთიანად 3,503 მანეთი 24 კაპ.

ქანანოვები: მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოზ ლავითის-მე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, ყველა მოწყობილობით და 190 1/2 ოთხ-კუთხი საყენი, 1 არშინი და 188 გოჯი მიწით. მ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ლავითის და პომენდანტის ქუჩებზე. თავნი ვალი 46,813 მან. 16 კაპ., დარჩენილი 4,123 მან. 66 კა. — სულ ერთიანად 50,936 მან. 82 კაპ.

ტერ-მიქელოვი ასლან ბაბრეილის-მე (აწ სოლომონ ივანეს-ძის შაბუროვისა). მრთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბალით და მიხლოვებით 500 ოთხ-კუთხი საყენი მიწით, 1 ნაწილში, 1 განყოფ. ქ. თბილისში, ოლგას გზა-ტკეცილზე, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6,660 მან. 41 კაპ., დარჩენილი 345 მანეთი 90 კაპ. — სულ ერთიანად 7,006 მანეთი 31 კაპეკი.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ სართულიანი ქვითკირის ღუქანი ბალახონით, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვითკირის ღუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვითკირის ღუქანი, ბ) თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის ღუქანი 276 ოთხ-კუთხი საყენი მიწით. მ. თბილისში: ა) მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში და ბ) მე-14 ნაწილში მე-2 განყოფილებაში, ჩულურეთში. თავნი ვალი 23,842 მან. 22 კაპ., დარჩენილი 3035 მან. 66 კაპ. — სულ ერთიანად 26,877 მან. 88 კაპ.

მირიძანოვი, იაკო ზაქარიას-მე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ენახით და 1488 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. მარანტოვის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 3996 მან. 25 კაპ., დარჩენილი 342 მან. 86 კაპ. სულ ერთიანად 4,339 მან. 11 კაპ.

ავიანოვი, ბიორგი მიხაილის-მე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 32 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. ქ. ბორში. თავნი ვალი 1,712 მან. 68 კაპ., დარჩენილი 97 მან. 86 კაპ. — სულ ერთიანად 1,810 მან. 54 კაპ.

ბეჟანბეგოვისა ალექსანდრე თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, სამოსამსახუროებით და 44 ოთხ-კუთხი საყ. მიწით მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, სასახლის ქუჩაზე. თავნი ვალი 6,660 მან. 40 კაპ., დარჩენილი 345 მან. 90 კაპ. — სულ ერთიანად 7,006 მან. 30 კაპ.

გაბუნია მერამ იაგორას-მე. ორი ქვითკირის სახლი: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი შენობებით და 125 ოთხ-კუთხი საყ. მიწით, ქ. ბორში. თავნი ვალი 3,688 მან. 27 კაპ., დარჩენილი 251 მან. 62 კაპ. — სულ ერთიანად 3,939 მან. 89 კაპ.

კობივიცისა მკატერინე იოსების ასული. მრთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, სარაითი, თაღით, მარნით, ბალით, სამოსამსახუროთი, ყოველ-ვე მოწყობილობით და 490 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. ქ. თბილისის მე-2 განყოფილებაში, ქუკიაში. თავნი ვალი 12,482 მან. 36 კაპ., დარჩენილი 632 მან. 10 კაპ. — სულ ერთიანად 13,114 მან. 46 კაპ.

ტერ-აფრიაშოვი სტეფანე ნიკიტას-მე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და 103 2/10 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. მე-7 მე-ლაბრის ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. თბილისში ძახეთის გზაზე. თავნი ვალი 6,913 მან. 30 კაპ., დარჩენილი 481 მან. 2 კაპ. — სულ ერთიანად 7,394 მან. 32 კაპ.

კომორიძეები: ბიორგი და ლავით ალექსანდრეს-მე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით, სამოსამსახუროთი და მიხლოვებით 217 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 19,587 მან. 70 კაპ. დარჩენილი 1,945 მან. 19 კაპ. — სულ ერთიანად 21,532 მან. 89 კაპ.

მანაბლისა ღარიბ ბრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი საყინულეთი და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით 380 ოთხ-კუთხი საყ. ქ. ბორში. თავნი ვალი 11,522 მან. 17 კაპ., დარჩენილი 357 მან. — სულ 11,879 მან. 17 კაპ.

სჰანდარიანისა ანა ალაპარუოვის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით და სამი ფლიგელით ყოველი მოწყობილობით და 325 ოთ-კუთხი საყ. მიწით. მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 26,399 მან. 23 კაპ., დარჩენილი 1,735 მან. 34 კაპ. — სულ ერთიანად 28,064 მან. 57 კაპ.

ბერძენოვისა ღარიბ ბრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი 110 ოთხ-კუთხი საყ. მე-წით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, მოსკოვის ქუჩის ზივით. თავნი ვალი 6,913 მან. 30 კაპ., დარჩენილი 583 მან. 36 კაპ. — სულ ერთიანად 7,496 მან. 66 კაპ.

მაკაროვი პეტრესა მინასას-მე. მრთ სართულიანი ქვითკირის სახლი ორი ფლიგელით და 333 ოთხ-კუთხი საყ. 1 არ. და 22 გოჯი მიწით. მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე. თავნი ვალი 9,601 მან. 82 კაპ., დარჩენილი 489 მან. — სულ ერთიანად 10,090 მან. 82 კაპ.

ჯორჯაძე ლავით ზაქარიას-მე. მრთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულით, თავის მოწყობილობით და 1443 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. ქ. თელავში. თავნი ვალი 7,489 მან. 43 კაპ., დარჩენილი 612 მან. 72 კაპ. — სულ 8102 მან. 15 კაპ.

რთველაძე ლავით მატატეს-მე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 27 1/4 ოთხ-კუთხი საყ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 2880 მან. 55 კაპ., დარჩენილი 187 მან. 4 კაპ. — სულ ერთიანად 3,067 მან. 59 კაპ.

(ნახე მეხუთე გვერდი)